საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№47 (6273) სამშაბათი 17 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

მიზანმიმართული შემოქმედებითი შრომა ჩვენი ეკონომიკის ძლიერების საწინდარია!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხები, რომლებიც უკავშირდება ყრილობისწინა დისკუსიის მიმდინარეობას, პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და სკკპ წესდების პროექტების განხილვას. აღინიშნა, რომ დისკუსია პარტიასა და საზოგადოებაში ცხოველად და ნაყოფიერად მიმდინარეობს, ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვაგვარი აზრები ფართო წრის პრობლემებზე, მდიდარ და მრავალფეროვან მასალას იძლევა ამ პარტიული დოკუმენტების გასამდიდრებლად.

ამასთანავე ბევრი კომუნისტი, პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ზოგიერთი სკკპ წევრი ყოველნაირად ცდილობს გაიყვანოს დისკუსია კონსტრუქციული კალაპოტიდან ფრაქციული ბრძოლის გზაზე, პროვოკაციულად გათიშოს პარტია. შეიქმნა იმის საჭიროება, რომ მიეცეს შეფასება ასეთ ცდებს, მოუწოდონ პარტიული რიგების კონსოლიდაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებთან, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებთან შეთანხმებით და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნების აზრის გათვალისწინებით მომზადებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილი ქვეყნის კომუნისტებს „პრინციპულ საფუძველზე კონსოლიდაციისათვის“, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

ჩვენი დღეგის ადამიანები

◆

ტრაქტორისტი

მიბუშა მესხაძე, კარგად იცნობს მას ჩვენი გაზეთის მკითხველი, მკვირცხლი, ცოცხალი, მუდამ საქმისათვის შემართული 60 წელს მიღწეული კაცი, ვინ მოთვლის წელს მერამდენედ მიუჯდა ტრაქტორის საჭეს, მერამდენე ხნული გაავლო სამომავლოდ და სასიკეთოდ. იცის, მეურნე კაცმა, კარგად იცის, რომ წლევანდელი წლის მოსავალს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობს, ეს კი მარცვლეულის უხვ მოსავალს ნიშნავს და ძალების მოდუნება კი არა, ახლა გვმართებს მთელი შესაძლებლობით შრომა, საზრიანი, უნარიანი მოქმედება. შინაგანად ეს ნამდვილი მუშა კაცი, იმასაც განიცდის, რომ კოლმეურნეობაში სახნავი ფართობი 55 ჰექტარამდე შემცირდა და რადგან წინასწარ ყველაფერი გათვლილია, ჩანს, რომ სრულად რომ ეს ფართობი დაიხნას და დაითესოს, პატრონი არ ეყოლება. ამიტომ მხოლოდ 46 ჰექტარი ეთმობა სამარცვლე სიმინდის ფართობს. ბუნებრივია, შემცირებულის კიდევ შემცირება გასაჭირში აგდებს კოლმეურნეობის ეკონომიკას. ჯერჯერობით მარტო შეუდგა მ. მესხაძე საგაზაფხულო ხვნას.

ისე კი ლაილაშის კოლმეურეობაში წესით სამი ტრაქტორი უნდა შესდგომოდა ამ საპასუხისმგებლო საქმეს. ახლა მიტუშას მონდომებაზეა ყველაფერი. ამჯერადაც ამ გამოცდილ კაცს დაეკისრა მთელი მისიის შესრულება. ეს მანამ, ვიდრე სურმუშის უბნის დასახნავად გამიზნული ტრაქტორის გაჭიანურებული რემონტის დასრულებას და რაიონზე გამოყოფილი ახალი ტექნიკის შემოყვანას საშველი დაადგებოდეს. არავის იმედზე არაა ტრაქტორისტი მიტუშა მესხაძე, თუ ისე წავიდა საქმე და მთლიანი ფართობის დახვნა მას დაეკისრა, არც იმაზე დაიხევს უკან.

ბარაქიანი იყოს მის მიერ გავლებული ყოველი ხნული.

პრინციპულ საფუძველზე კონსოლიდაციისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილი ქვეყნის კომუნისტებს

ამხანაგო კომუნისტებო!

ამ წერილით მომართვის სურვილი გაგვიღვიძა იმან, რომ რთული, წინააღმდეგობრივი პროცესები მიმდინარეობს საზოგადოებასა და პარტიაში სკკპ XXVIII ყრილობის წინ.

ქვეყანაში მიმდინარე ღრმა ცვლილებები, მის წინაშე წამოჭრილი პრობლემების სიმწვავე ყრილობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება მომზადებული ჩვენი პარტიული ფორუმი, როგორი განწყობილებით, იდეური ბაგაჟით და პოლიტიკური აქტივით შეეგებებიან მას კომუნისტები.

ახლა პარტიულ ორგანიზაციებში, პრესაში ძლიერდება ყრილობისწინა დისკუსია, რომელსაც საფუძვლად უძევს პარტიის XXVIII ყრილობისათვის პლატფორმისა და ახალი წესდების ცენტრალური კომიტეტის მიერ მომზადებული პროექტები.

ავტორიტარულ--ბიუროკრატიული სისტემის ეკუგდება, ორიენტაცია იმაზე, რომ დამკვიდრდეს ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმი, ეფექტიანი საგეგმო-საბაზრო ეკონომიკა, სამართლებრივი სახელმწიფო, განახლდეს საბჭოთა ფედერაცია, ხალხს შეექმნას ცხოვრების ღირსეული პირობები, ახალი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ბოლოს მოუღებს „ცივ ომს“, და რესურსების მოხმარება ქვეყნის კეთილდღეობისათვის—სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის ეს დებულებები, რომლებიც გამოხატავენ გარდაქმნის აზრს, პარტიისა და ხალხის შეკავშირების მნიშვნელოვანი ბაზაა.

ფართო და თავისუფალი დისკუსიის დროს ზოგი მხარს უჭერს, ზოგი კი აკრიტიკებს და მწვავედაც აკრიტიკებს პროექტებს, შეაქვთ შესწორებანი, დამატებანი, დაზუსტებანი, გვთავაზობენ ალტერნატიულ ვარიანტებს, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ყოველივე იმის განსაზოგადებლად და გასაანალიზებლად, რაც გაამდიდრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმას და წესდებას.

დისკუსია ასახავს პარტიაში და საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და პოზიციების მრავალფეროვნებას, ავლენს ადამიანების შეშფოთებას, რაც გამოწვეულია სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში დაძაბულობით, ეკონომიკაში კრიზისული მოვლენებით, ეროვნებათაშორის ნიადაგზე კონფლიქტებით, სეპარატისტული ტენდენციებით, დამნაშავეობის ზრდით, დისციპლინისა და წესრიგის შესუსტებით.

საჯაროობის, დემოკრატიისა და აზრის თავისუფლების პირობებში ჩვენში ნორმად იქცა ფართო სპექტრის პოლიტიკური შეხედულებებისა და პოზიციების არსებობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც უარი თქვა კანონმდებლობით განემტკიცებინა თავისი ხელმძღვანელი როლი, საქმით ცხადყო, რომ იგი ემხრობა იდეების დაუფარავ პატიოსან შეჯიბრებას.

ამავე დროს ცენტრალურ კომიტეტს შეუძლებლად მიაჩნია გვერდი აუაროს გარკვეული პირების იმ ცდებს, რომ პარტიას გადაახრევინონ მის ნიერ აღებული სტრატეგიული კურსიდან, და თუ ამას ვერ მოახერხებენ, პროვოკაციულად გამოიწვიონ მისი გათიშვა.

ეს კეთდება როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. ისინი უარყოფენ გარდაქმნას, რადგან იგი მიაჩნიათ საზოგადოებისა და პარტიის „ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გადაგვარებად“.

კომუნისტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ბევრ პარტიულ სტრუქტურაში კვლავ შეიმჩნევა კონსერვატიზმი, დოგმატური აზროვნება და მოქმედება, იმის უუნარობა, რომ დიალოგი გამართონ ადამიანებთან, მოუსმინონ და გაუგონ მათ, ხელი გაუწოდონ. ყოველივე ეს პარტიას საგრძნობ ზიანს აყენებს. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციების, ნამდვილი დემოკრატიის, საჯაროობის, ადამიანის მიმართ პრიორიტეტული ყურადღების დამკვიდრების მზარდი მოთხოვნილების გაუთვალისწინებლობა ნიშნავს პოლიტიკური ცხოვრების განპირის აღმოჩნდე. სტალინიზმის მემკვიდრეობისა და უძლიერესი ძალაც უარყოფა საარსებო აუცილებლობაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის.

არანაკლებ შეშფოთებას იწვევს ის, რომ გარდაქმნის დროში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელმა რიგმა წევრებმა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს ფსევდორადიკალური პოზიციებიდან. აცხადებენ რა თავს „თანამიმდევრულ დემოკრატებად“, ძირეული ცვლილებების ლამის ერთადერთ მომხრეებად, მათ იერიში მიიტანეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის „იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, ზოგმა კი აშკარად გაილაშქრა ლენინისა და ლენინიზმის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც ეგრეთწოდებული „დემოკრატიული პლატფორმის“ გარშემო გაერთიანდნენ.

შეგახსენებთ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი გთავაზობთ, შემოიტანოთ წინადადებები, ალტერნატიული პროექტებიც კი. და, რა თქმა უნდა, არაფერი საძრახისი არ არის იმაში, რომ პარტიის წევრთა ჯგუფმა გამოთქვა თავისი შეხედულებები. უფრო მეტიც, გასაგებია „დემოკრატიული პლატფორმის“ ტექსტში გამოხატული სერიოზული შეშფოთება საზოგადოებასა და პარტიაში არსებული სიტუაციით, მისწრაფება — მტკიცედ შეიცვალოს იგი, ბევრს მოსწონს მწვავე, კრიზისული ხასიათის დოკუმენტი.

მაგრამ „დემოკრატიული პლატფორმა“ არსებითად არ შეიცავს იმის რაიმე სერიოზულ ცდას, რომ კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში. მასში არ არის გაცემული პასუხი პრინციპულ კითხვებზე, რომლებიც აწუხებს დღეს ჩვენს საზოგადოებას, არ არის კონკრეტული წინადადებები ეკონომიკის, სოციალური სფეროს, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის, საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დარგში.

წარსულისა და აწმყოს მკვახე შეფასების, მყვირალა ლოზუნგების მიღმა, რომლებიც ნაკარნახევია, ერთი შეხედვით, იმის სურვილით, რომ გარდაქმნას უფრო რადიკალური ხასიათი მიენიჭოს, იფარება

(დასასრული მე-2 გვერდზე).

პრინციპულ საფუძველზე კონსოლიდაციისათვის

(დასასრული).

„დემოკრატიული პლატფორმის“ ავტორთა ზრახვები—გადააქციონ ჩვენი პარტია რაღაც უფორმო ასოციაციად, რომელშიც სრული თავისუფლება ექნებათ ფრაქციებს და დაჯგუფებებს, ანუ პრაქტიკულად დაშალონ იგი.

ამ მიმართულებით გაჩაღდა ფართო პროპაგანდისტული და ორგანიზატორული საქმიანობა. მიმდინარეობს მომხრეების რეგისტრაცია, შეიქმნა საკოორდინაციო საბჭოები ცენტრსა და ზოგიერთ რეგიონში, იგზავნებიან ემისრები ადგილებზე. დისვა საკითხი, რომ შეიქმნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან დამოუკიდებელი მატერიალური ბაზა. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შიგნიდან გათიშვის, პოლიტიკური ასპარეზიდან მისი ჩამოცილების კურსი.

არსებითად ასეთივე შედეგებამდე მიგვიყვანს პარტიისათვის ფედერალისტური სტრუქტურის თავსმოხვევის, კომუნისტების ეროვნული ნიშნით გათიშვის ცდები.

ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ პარტიის გათიშვისა, ჩვენ მხარს ვუჭერთ პარტიული რიგების კონსოლიდაციას.

ამა თუ იმ პრობლემის გაგებაში, გარდაქმნის ამოცანათა დასახვაში განსხვავება, თუ ეს არ უარყოფს პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც ყოველმხრივი განხილვის საგანი. მაგრამ არამც და არამც—პარტიის გათიშვის მიზეზი. ყოველ კომუნისტს აქვს ყველანაირი შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საყრილობო დისკუსიაში, გამოხატოს, დაიცვას და გაიტანოს თავისი შეხედულებები. სკკპ პლატფორმისა და წესდების პროექტები ღიაა ნებისმიერი წინადადებებისა და დამატებისათვის. მხოლოდ სოციალისტური არჩევის ფარგლებში სხვადასხვა აზრის გონივრული სინთეზის გზით შეიძლება შეიქმნას კომუნისტთა ერთიანი პლატფორმა, რომელიც განსაზღვრავს პარტიისა და ქვეყნის მომავალს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ უნდა გააქტიურდეს მთელი ყრილობისწინა დისკუსია, მჭიდროდ დაუკავშირდეს იგი საზოგადოების განახლების პროცესებს, პრაქტიკულ საქმეებს. უფრო გაბედულად უნდა შეავადაროთ სხვადასხვა მიდგომა, ფაქიზად მოვეკიდოთ ყოველ კონსტრუქციულ იდეას და ამავე დროს არ დაუშვათ იდეური მერყეობისა და იდეური გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება. კომუნისტები არ უნდა გაიტაცოს მყვირალა ფრაზებმა და ზერელე დაპირებებმა, რომელთა უკან სხვა არაფერია, გარდა პირადი პოლიტიკური ამბიციებისა.

დადგა ჟამი, როცა უნდა გავერკვეთ, ისე, რომ არ დავთმოთ თავისუფალი დისკუსია და განვამტკიცოთ მისი კონსტრუქციული საწყისი, თუ რა ვუყოთ პარტიის იმ წევრებს, რომლებიც დაჟინებით და მიზანმიმართულად ცდილობენ გათიშონ პარტია, შექმნან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შიგნით ორგანიზაციულად გაფორმებული ფრაქციები, უარყოფენ საბჭოთა ხალხის სოციალისტურ არჩევანს, თავიანთი შეხედულებითა და ქცევით ფაქტობრივად თავი პარტიის გარეთ დააყენეს. განა შეიძლება ასეთი პირები დარჩნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში?

ეს კითხვა დასმულია პოლიტიკური განვითარების ლოგიკით და იგი უნდა გადაწყვიტონ კომუნისტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა და მათმა კომიტეტებმა.

იმთგან გამოჯვნა, ვინც პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის გზას დადგა, არც წმენდაა, არც სხვაგვარად აზროვნების ჩახშობა. იგი მიმართული უნდა იყოს ფრაქციული დაჯგუფებების ორგანიზატორთა წინააღმდეგ. რაც შეეხებათ იმ კომუნისტებს, რომლებიც გაიტაცა ფსევდორევოლუციურმა ფრაზამ, ვერ გაერკვნენ საზოგადოებასა და პარტიაში მიმდინარე პროცესებში, აქ საჭიროა ერთი რამ— გაძლიერდეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომელიც პარტიის პოლიტიკის სისწორეში დაარწმუნებს შემცდართაც და მერყეთაც.

სკკპ XXVIII ყრილობამდე სამ თვეზე ნაკლები რჩება. იწყება ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ანგარიშგება-არჩევნები, კონფერენციაზე, საერთო პარტიულ ფორუმზე კანდიდატების დასახელება. საჭიროა, რომ ყრილობის დელეგატები გახდნენ რწმენით აღსავსე კომუნისტები, ინიციატივიანი, შემოქმედი, ზნეობრივად წმინდა ადამიანები, რომლებსაც გამახვილებული აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა პარტიის, თავისი ხალხის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინაშე საზოგადოების რევოლუციური განახლების სვე-ბედისათვის.

ჩვენ მხარს ვუჭერთ პრინციპულ საფუძველზე პარტიული რიგების კონსოლიდაციას, ყველა იმათ მტკიცე ერთიანობას, ვისთვისაც ძვირფასია გარდაქმნის მიზნები, ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის იდეალები.

ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ სკკპ XXVIII ყრილობა განახლებისა და აღმშენებლობის ყრილობა გახდეს, რომ პარტიას ახალი ძალები და ახალი ენერგია შეემატოს.

კრებები პარტიულ ორგანიზაციებში

როცა დაიკარგა რწმენა

რესპუბლიკაში მიმდინარე ეროვნული მოძრაობა გულგრილს არც ერთ ქართველს არ ტოვებს. საჭიროა ერთ მუშტად შეკვრა, ერთიანი საღი აზრი და პრაქტიკული მოქმედება. დღეს კომუნისტები ღია პარტიულ კრებებზე იხილავენ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას და გამოთქვამენ თავიანთ დამოკიდებულებას მიმდინარე პროცესებისადმი, მოლელავრე დღეებისადმი, სკკპ ახალი წესდების პროექტისადმი, პარტიისა და ხელისუფლების ავტორიტეტისადმი.

ცაგერის საშუალო სკოლის კომუნისტებმაც იმსჯელეს რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობაზე. მომხსენებელმა, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნელი ნემსწვერიძემ იმპულსი მისცა კრების მონაწილეებს. პედაგოგებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და გულისტკივილი.

კრებას ლაიტმოტივად გასდევდა აზრი, რომ დაიკარგა ნდობა და რწმენა პარტიისადმი, ხელმძღვანელობისადმი. ითქვა, რომ რაღა საჭიროა ან კრება, ან დისკუსია, ლაპარაკი ქვემოდან, როცა ზემოდან ამდენი უზნეობა, ბოროტება მოდის, ამის მაგალითად მხოლოდ 9 აპრილის ტრაგედია და მისი რეჟისორების არაადამიანურობა კმარაო, აღნიშნეს.

ითქვა, რომ სკკპ წესდების პროექტს ვიხილავთ მაშინ, როცა პარტიას პატივს აღარ სცემენ, აქედან გამომდინარე არც ეს განხილვა იქნებაო საქმიანი, გამიზნული.

ითქვა, რომ უზნეობამ, კორუფციამ, მექრთამეობამ მოწამლა ადამიანთა სული და განსაკუთრებით მოზარდის ფსიქიკა. ამ სიტუაციაში უჭირთ მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც. ამიტომ როცა საქართველოს ხვალინდელ დღეზე, დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავიწმინდოთ, ყოველგვარი უზნეობა წარსულს ჩავაბაროთ, სხვანაირად ჩვენი ახალგაზრდები, ხვალინდელი მოქალაქენი ვერ ჩამოყალიბდებიან ადამიანებად, დამოუკიდებელი საქართველოს წევრებად.

მასწავლებელი, ითქვა კრებაზე, სულაც არ არის საჭირო იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, იგი უნდა იყოს სავსებით თავისუფალი და მხოლოდ და მხოლოდ ასულდგმულებდეს ახალგაზრდის სწორი აღზრდა-ფორმირება.

დღეს, როცა გაორებულია ადამიანები და თვით კომუნისტები, უნდა მოხდეს კომუნისტთა თვითგამორკვევა (ანკეტური გამოკითხვა). მრავალპარტიულობა საშუალებას იძლევა ყველამ საკუთარი გზა იპოვოს, ის პარტია აღიაროს, რომელიც სწამს და რომელსაც შესწევს უნარი გაუძღვეს საქმეს და ადამიანებს.

კომუნისტებმა განსაკუთრებით პრინციპულად გაუსვეს ხაზი, რომ ყველა უბანზე მოიშალა დისციპლინა და მომთხოვნელობა, ლაპარაკი ბევრია და პრაქტიკული საქმე არავისგან ჩანს.

კრებაზე გამოიკვეთა, რომ სკოლიდან უნდა განიდევნოს პოლიტიკური ორგანიზაციები, მთლიანად შესაცვლელია თვალსაჩინო აგიტაცია სკოლაში და საერთოდ ყველგან, რამეთუ არსებულს აღარავითარი კავშირი არა აქვს ცხოვრების რეალურ სურათთან. ამ საქმეში პარტიის რაიკომის იდეოლოგიური განყოფილება მიმართულებას არ იძლევა. უგულებელყოფილია აგრეთვე ლექციების, დიალოგების გამართვა ახალგაზრდებთან სადღეისო საკითხებზე.

კრებამ აირჩია საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე კონფერენციის დელეგატები.

სად ხართ, კოლეგებო?

ღია წერილი სახალხო დეპუტატებს სსრკ ჟურნალისტთა კავშირისაგან

პატივცემულო კოლეგებო!

არ ვიცი, თქვენ როგორი განწყობით შეხვდით ახალ წელს, მაგრამ ბევრი ჩემი ნაცნობი ჟურნალისტი მისმა მოსვლამ დაბნეულობაში ჩააყენა. არა მარტო სადღესასწაულო სუფრის სიღარიბით, ბოლოსდაბოლოს მარტო ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ ასე. ადგილობრივი პრესის ჟურნალისტები შოკში ჩაადგა სხვა ამბავმა—საბჭოთა და პარტიული აპარატის მუშაკთა ხელფასების უეცრად გაზრდამ. როგორც თქვენთვის ცნობილია, სახალხო დეპუტატთა ყრილობებზე და უზენაესი საბჭოს სესიებზე გაუთავებელი ლაპარაკი იყო სახელწიფო ბიუჯეტის დეფიციტზე და სოციალური საჭიროებისათვის საშუალებათა უკმარისობაზე. მთავრობამ, როგორც გახსოვთ, ძლივს გამონახა თანხები პენსიების უმნიშვნელოდ გაზრდისათვის და... უცებ ბევრად იზრდება აპარატის ხელფასი.

მაგალითისათვის: სასოფლო საბჭოს მდივანი ახლა ღებულობს 310 მანეთს თვეში ადრინდელი 150-ისა, ხოლო ასეთივე საბჭოს თავმჯდომარე—380-მანეთს, ნაცვლად ადრინდელი 190 მანეთისა. პარტიის ქალაქკომის ან რაიკომის პირველი მდივანი და შესაბამისი აღმასკომების თავმჯდომარეები 500 მანეთს, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე—440-ს. „შთამბეჭდავია“? გამოდის, მთავრობას თუ სურს, ნახულობს საშუალებებს, როგორი გამოცარიელებულიც არ უნდა იყოს სახელმწიფო ქისა.

მე არ მოგიწოდებთ, რომ მოუხსნათ მაღალი ხელფასები აპარატის მუშაკებს, მაგრამ გთხოვთ მიაქციოთ უურადღება რიგითი ჟურნალისტების გაჭირვებასაც. უპირველესად ძირეული პრესის—მრავალტირაჟიანი, რაიონული და საქალაქო გაზეთების. პარტიულ კომიტეტებსა და აღმასკომებში ხელფასების მომატებამ ისინი პირდაპირ დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააყენა. რაიონული და საქალაქო გაზეთის ნებისმიერი რედაქტორი თვეში ღებულობს 230 მანეთს, რაც მნიშვნელოვნად დაბალია პარტიის ქალაქკომის ან რაიაღმასკომის ინსტრუქტორის ხელფასზე. მე 30 წელია პრესაში ვმუშაობ, მაგრამ ასეთ უსამართლობას არასდროს შევხვედრივარ. რედაქტორი ყოველთვის ხელფასის დონით უთანაბრდებოდა იდეოლოგიის მდივანს, დღეს კი ის ინსტრუქტორის ქვემოთ დააყენეს. ეს კი „პარტიის ხელქვეითის“ თვალსაჩინო ილუსტრაციაა. თვითონაც კარგად იცით, როგორი ძნელი მოსანახია რაიონული და ქალაქის გაზეთების მუშაკები, თუ არაფერს ვიტყვით მრავალტირაჟიანზე. მალე, ჩანს ასევე იქნება საოლქო და სამხარეოში—მათი განაკვეთებიც ხომ უმნიშვნელოა. დღეს კარგ კოლმეურნეობაში ან ქარხანაში ხელმძღვანელები თვეში დაახლოებით ათას მანეთს ღებულობენ, მთავარი სპეციალისტები—ექვსას -შვიდასს, ჟურნალისტები კი რამდენჯერმე მცირეს.

ხოლო ჟურნალისტები „გამოიმუშავებენ“ არა მარტო თავისთვის, არამედ „ზემდგომთათვისაც“. ცნობილია, რომ გამომცემლობათა მოგება ურცხვად ამოიღება და სრულიადაც არ იხარჯება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით ჩვენს დეპუტატებზე სსრკ ჟურნალისტთა კავშირისაგან. თქვენთვის ხომ კარგადაა ცნობილი პრესის მუშაკთა გაჭირვებული მდგომარეობა. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ თქვენ დაიცავდით ჩვენს ინტერესებს, მაგრამ გავიდა ერთი წელი თქვენი არჩევიდან, თქვენ კი ნაბიჯიც არ გადაგიდგამთ, რომ დახმარებოდით კალმის რიგით მუშაკებს. მე პირადად ამას იმასთან ვაკავშირებ, რომ თქვენს შორის ბევრია მაღალი ანაზღაურების მუშაკები; ხოლო მაძღარს ერთი ანდაზისა არ იყოს, მშიერიც მაძღარი ჰგონია. მაგრამ თქვენ ხო გაქვთ დუმილის უფლება, რადგან თქვენ გენდნენ წარმოადგინოთ ჩვენი შემოქმედებითი კავშირის ასიათასიანი არმია ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. მართალი გითხრათ, არ ვიცი სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ თავიანთი მუშაკების მიმართ, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. საქმე ხომ მარტო დაბალ ხელფასში არაა. პრესაში ჩემი მუშაობის ოცდაათი წლის განმავლობაში, მაგალითისათვის, არც ერთხელ არ ვყოფილვარ არც დასასვენებელ სახლში, არც სანატორიუმში, რადგან არასდროს საგზურები რიგით თანამშრომლებზე არ გამოუყვიათ. ასეთივე დონეზეა—ჟურნალისტების ბინებით უზრუნველყოფა. ალბათ, ათასჯერ მაინც თქმულა რედაქციების ორგტექნიკით, კარგი შენობებით, ავტომანქანებით აღჭურვის აუცილებლობაზე. საზღვარგარეთელ კოლეგებთან შედარებით ჩვენ თითქოს ქვის ხანაში ვცხოვრობთ, მათ დისკები, დიქტოფონები, ჩვენ კი ბურთულიანი კალამი.

როგორი შეიძლება იყოს გამოსავალი? ვფიქრობ, უნდა მიღწეულ იქნას ქვეყნის ყველა რედაქციის ოფიციალური გადასვლა სამეურნეო ანგარიშსა და იჯარაზე, მივცეთ მათ შესაძლებლობა თვითონ გამოიმუშაონ საშუალებები და ხარჯვა მოახდინონ თავიანთი შეხედულებებით.

მესმის, რომ სახალხო დეპუტატი არ უნდა ფიქრობდეს მარტო თავის ამომრჩევლებზე, მისი ამოცანები უფრო ფართოა, და მაინც მინდა, რომ თქვენ, ჩვენი რჩეულები, მორჩეთ დუმილს ყრილობებსა და სესიებზე და ზევიდან წყალობის ცდას. თუ ვინმე თქვენთაგანმა გაიგო, რომ არ შეუძლია თავისი კოლეგების ინტერესების დაცვა — დადეთ სახალხო დეპუტატობის მანდატი.

იური ლიაპუნოვი.
ჟურნალისტი.
ჟურნალი „ჟურნალისტი“.

სკოლა, ოჯახი, საზოგადოება

★

შენი ვალია, მამავ!

დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ეპოქაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ადამიანთა ფსიქიკაში, მათ სულიერ სამყაროში, ზნეობრივ ფასეულობებში. ეს პირველ რიგში წარმოჩინდება ახალგაზრდობაში, რომელიც უფრო სადად იყურება მომავლისაკენ. ასეთ პირობებში ახალგაზრდა თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმე კი არ მარტივდება, არამედ უფრო რთულდება, რადგან ყოველ დღეს ახალი სიახლე მოაქვს, ახალი საზრუნავი ჩნდება, ისტორიული განვითარებით კი ცნობილია, რომ ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ ჰქონდა გადაწყვეტილი მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემა.

დღეს მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების საქმე სკოლაზეა დამოკიდებული ძირითადში და ცალმხრივად სრულდება. გარდა ამისა ახალგაზრდობის ფსიქიკაზე გავლენას ახდენს ის გარემო, რომელშიც ცხოვრობს და იზრდება, სადაც ირღვევა ცხოვრების წესი და ნორმები. ჯერ კიდევ ვხვდებით საზოგადოებაში ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ქურდობა, სპეკულანტობა, თაღლითობა, და სხვა.

სკოლის წინაშე დღეს ბევრი პრობლემა და გადაუჭრელი საკითხებია, მაგრამ პრობლემების გადაჭრა და გადაუწყვეტელი საკითხების მოგვარება მოსწავლის საქმე არ არის, იგი უფროსებმა უნდა გადაწყვიტონ. გადასაჭრელი პრობლემების შესახებ ბევრჯერ დაფიქრებულან სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგიური კოლექტივები, მაგრამ მათ გვერდით ვერ ვხედავთ რეალურად მდგომ ადამიანებს, რომელთა უანგარო დახმარებას ბევრი სასიკეთო შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ასეთ ძალად მიგვაჩნია მოსწავლეთა მშობლები, განსაკუთრებით კი მამები. მიუხდავად მთელი რიგი ღონისძიებისა ვერ მივაღწიეთ, რომ მშობლები პედაგოგების აქტიური დასაყრდენი გახდნენ. ამიტომ იძულებული ვართ ერთხელ კიდევ შევახსენოთ მათ, რომ შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება სკოლისადმი, ბავშვთა აღზრდისადმი, განსაკუთრებით კი მამებმა, რამეთუ პედაგოგიკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მამათა როლს ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

სახალხო განათლების რაიონულმა განყოფილებამ, მისმა მეთოდურმა კაბინეტმა მრავალგზის მისცა რჩევა-დარიგება რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექციებს შეექმნათ ადგილებზე მამათა საბჭოები. გატარებული მუშაობის შემდეგ თითქმის ყველა სკოლაში შეიქმნა მამათა საბჭო, შემუშავებული იქნა სამუშაო გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია სკოლისათვის აქტუალური საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცებას.

რაიონის რიგ სკოლებში შექმნილი მამათა საბჭოების მუშაობა მეტნაკლებად პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ბარდნალის, ლასურიაშის საშუალო და სხვა სკოლები.

გასული წლის 16 დეკემბერს ბარდნალის საშუალო სკოლაში ჩატარდა მშობელთა საერთო კრება, რომელსაც მხოლოდ მამები ესწრებოდნენ. კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად გადასაჭრელი იყო სათბობის საკითხი. როგორც ცნობილია, მთიან პირობებში ხშირია ელექტროდენის გამორთვა, რაც ხელს უშლის სწავლების ნორმალურად მიმდინარეობას. მშობლებმა წამოაყენეს წინადადება, რომ შეეძინათ თუნუქის ღუმელები, შემოეზიდათ საჭირო ოდენობის საწვავი მასალა. მათ სიტყვა-საქმედ აქციეს და შეიძინეს 17 ცალი თუნუქის ღუმელი. შემოზიდეს საწვავი მასალა და სკოლაში შექმნეს ნორმალური პირობები. მათი ინიციატივით მშობლების მიერ შექმნილია საგუშაგოები საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მიერ ქცევის წესების დარღვევის თავიდან აცილებას. მამათა მუშაობის გააქტიურების შედეგია ის, რომ სკოლაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა გაცდენების რაოდენობა 500 აკადემიური საათით. მოიმატა ოთხოსან მოსწავლეთა რიცხვმა, ამ სკოლის არცერთი მოსწავლე შემჩნეული არ არის მოსწავლის ქცევის წესების დარღვევაში. სკოლისადმი გვერდით ამოდგომისა და ბავშვთა აღზრდის საქმისადმი უკეთილშობილესი საქმის მოწესრიგებაში აქტიურობენ მამები ოთარ ხაბულიანი, ვლადიმერ თუთისანი თამაზ ფუტკარაძე, ჯიმშერ ნემსწვერიძე და სხვები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მაგრამ ასე ვერ ვიტყვით რაიონის რიგ სხვა სკოლებში შექმნილი მამების საბჭოს მუშაობაზე. მამათა უმრავლესობას მიაჩნია, რომ როცა ბავშვი გაიზრდება შემდეგ სჭირდება მას მამა. ეს მცდარი აზრია. სწორედ ასეთი ბავშვების მამები იშვიათად თუ გამოცხადდებიან სკოლაში და ისიც ხშირად ძალდატანებით. მათ ზემოქმედებას ბავშვებზე ეპიზოდური ხასიათი აქვს და ზოგჯერ შვილსაც და მამის შეხვედრა ლაქის მუშაკრივზე გადაეხსნა ... ტებიც. როცა ოჯახში მამა დედას მუქარით ავალდებულებს შვილებს მიხედოს, რათა დაბალი ნიშნები არ მიიღონ და სხვა. ყველა ასეთი ფაქტი დასაგმობია. კარგი ოჯახი წესიერი შვილების აღზრდის კერაა. წესიერი შვილი კი გონივრული აღზრდის შედეგია, რაც ყველა მშობელს ყოველთვის არ გამოუდის. ამიტომ მამის როლის შესრულება დედას არ შეუძლია.

ყველაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ ვერ მივაღწიეთ, რომ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები დაინტერესდნენ თავიანთი მუშაკების შვილების საქმიანობით, რათა პასუხი მოსთხოვონ მათ შვილებისადმი მზრუნველობის, აღზრდისა და სწავლების უკეთ წარმართვისათვის.

ხვალ უკვე გვიანია, გახაკეთებელი დღეს უნდა გაკეთდეს, მამებო!—თუ გვინდა რომ ფეხი ავუბათ დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობას.

მშობლებთან მუშაობა ცალმხრივი არ უნდა იყოს. ამით უნდა დაინტერესდნენ სკოლის დირექცია, კლასის ხელმძღვანელები, პედაგოგები, განათლების განყოფილება და მისი მეთოდკაბინეტი.

ა. სილაგაძე,
განათლების განყოფილების მეთოდისტი.

ჩვენ გვნერენ

მშრომელები კმაყოფილნი არიან

ლაილაშის რეგიონის მთელი მოსახლეობა, მშრომელი ადამიანები კმაყოფილია ცაგერის საგზაო სამმართველოს (უფროსი ო. გიორგობიანი) შრომითი კოლექტივისა, რომლებიც ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ ჭილეში-ლაილაში-თაბორის, ჭილეში—სურმუშისა და ლაილაში-ღუს სასოფლო გზებს. აღნიშნული გზები სტიქიის შედეგად მრავალჯერ იქნა დაზიანებული, მაგრამ საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელთა და შრომითი კოლექტივის მზრუნველობით დროულად ხდება გზის შეკეთება და მისი მწყობრში ჩაყენება.

თუ წინა წლებში ყინვიან გზაზე ჭილეში-ლაილაშის მიმართულებით ავტობუსის მოძრაობა რამდენიმე კვირით იყო შეჩერებული, წლევანდელ ზამთარში ს მდგომარეობა გამოირიცხა, რადგან მოყინულ გზას საგზაო სამმართველოს მუშაკები აყრიდნენ ქვიშა-მარილს და ჭილეშის გზაზე ავტობუსის მოძრაობა თითქმის არ შეწყვეტილა.

მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისიდან ჭილეში-ლაილაშის გზის პირველ კილომეტრზე, „ლატკიაშის“ ღელესთან, სამანქანო გზაზე თითქმის ყოველდამით ხდებოდა მეწყრისაგან მიწის დიდი მასის ჩამოწოლა. საგზაო სამმართველოს უბნის უფროსმა რენო დავითულიანმა, სამუშაოთა მწარმოებელმა მაიზერ ხვადაგიანმა და ბულდოზერის მემანქანემ ჯუსტან გოქაძემ გზაზე მუდმივად დააყენეს ბულდოზერი, ექსკავატორი და ყოველ დილით 7 საათზე წმენდდნენ ღამით გზაში ჩამონაშალ მეწყრულ მიწას, რის გამოც ტრანსპორტის მიმოსვლა არ შეწყვეტილა. აქვე მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებთ ქუთაისის ავტოკოლონის ავტობუსის მძღოლს შურმან შალვას ძე ფრუიძეს, რომელიც პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და და მის მიერ ქუთაისი-ლაილაშის რეისის ჩაშლას ადგილი არ ჰქონია.

საგზაო სამმართველოს სახელოვან შრომით კოლექტივს იმედის თვალით შეჰყურებენ სურმუშელი და ღუელი მშრომელები, რომლებსაც სწამთ, რომ მზიანი ამინდების დადგომისთანავე კაპიტალურად გაარემონტებენ აღნიშნული სოფლების გზებს.

წარმატებებს ვუსურვებთ ცაგერის საგზაო სამმართველოს შრომითს კოლექტივს მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში.

ნ. ანასაშვილი,
ლაილაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

კურსკის ოლქი. გლუშკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „როსიაში“ მეცხოველეობისა და მემინდვრეობის პარალელურად ვითარდება დამსმარე დარგები.

სურათზე: კოლმეურნეობის სამკერვალო საამქროს ოსტატები.

საკავშირო ფოტოქრონიკა.

ბოტანიკოსის რჩევა

გრძოლა ეფექტს მოგვცემს

თხილს აზიანებს ხოჭო და მატლი. ხოჭო იკვებება თხილის ყვავილებით, კოკრებით, ფოთლებით და ნასკვებით. ნასკვებს აზიანებს როგორც კვების, ასე კვერცხდების მიზნით. მატლები იკვებებიან თხილის გულით, ხოჭოები სქესობრივად მომწიფების შემდეგ (დაახლოებით მაისის მესამე დეკადაში). როდესაც დღეღამური ტემპერატურა 18 გრადუსს მიაღწევს, იწყებს კვერცხდებას, რისთვისაც ხოჭო ხორთუმით ხვრეტს თხილის ნაჭუჭს და შიგ დებს თითო კვერცხს. 6-7 დღის შემდეგ იჩეკება მატლი, რომელიც იკვებება თხილის გულით. მას ყველაზე დიდი ზიანი მოაქვს დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც საკარმიდამო ნაკვეთებში მოსავალი ზოგიერთ ადგილას 100 პროცენტით ნადგურდება.

ბრძოლის ღონისძიებანი: პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ მავნებლის მიმართ ქიმიური ბრძოლის აუცილებლობას, არის მავნებლის ძლიერ გავრცელება, კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ წინა წელს მავნებლის მიერ გამოწვეული დაზიანება აღემატება 10 პროცენტს.

პირველი წამლობა უნდა ჩატარდეს თხილის დაყვავილებისთანავე (აპრილის ბოლოს);

მეორე—თხილის გამონასკვისთანავე (მაისის პირველი დეკადა);

მესამე წამლობა—მეორე წამლობიდან 10-15 დღის შემდეგ. ქიმიური პრეპარატებიდან რეკომენდებულია ერთი რომელიმე პრეპარატი: ქლოროფოსი, გარდონის, ფოზალონის 0.2 პროცენტიანი ემულსიების შესხურება.

ნ. შაღამბერიძე.
საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის სექტორის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვიტორში, მგოსნის ნაკვალევზე

„ტკბილის და გრძნობიერების სიტყვით... ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართვლისა და საქართველოს სიყვარულისათვის"—და რა გასაკვირია გადაწყვეტილება—აკაკის სამსახური და ღვაწლი საქართველოსადმი სამუდამო სახსოვრად გვქონოდა, გვენახა ის ადგილი, სადაც დაიბადა და გაიზარდა სულმნათი პოეტი?!

ნავენახევის მღვიმე—პირველი სანახავი, რომელმაც, გაოცებაში მოიყვანა მთის სილამაზეში გაზრდილი 50 ოყურეშელი მოსწავლე, მოგვხიბლა სხვიტორის ბუნების მშვენიერებამ. ნამდვილი გაზაფხული დაგვიხვდა აკაკის ეზო-კარში. არა თუ სამსახური, არამედ აკაკის მუდმივი საცხოვრებელიც კი არ ჰქონია არსად, გარდა სხვიტორში მამისეული სახლისა. მას თითქმის ყოველთვის აკლდა ოჯახური სითბო, მაგრამ პირად ცხოვრებას დიდად არ დაგიდევდათ აკაკი და იმ მშვენიერ ეზო-კარში, საქართველოზე უფიქრია და უმღერია. ვიგონებთ: აკაკისათვის მთელი ქვეყანა სახატე იყო, მისი საშობლო ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი მხარე, სატრფო ძველი ტურფა; დღეს მკვდარივით მძინარი! ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქმოხდილი, ავადმყოფი, რომელიც არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს.

მოვინახულეთ სოფელი სავანე, ფარსადან ყანჩაველის ოჯახი, აკაკისეული ნივთები დაცულია იქ. სანთლები დავანთეთ იმ ეკლესიაში, რომელიც მაღლიდან გადმოცქერის ამაყად სავანეს.

დავემშვიდობეთ აკაკის სახლ-მუზეუმს, სხვიტორს, სავანეს, გზაზე გვატკბობდა აკაკისეული სტრიქონების მადლი.

ქეთინო მურცხვალაძე.

საქართველოში

განათლება: განვითარების გზები

ვის სურს კოლეჯში სწავლა?

1990-1991 სასწავლო წელს უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლად (კოლეჯად) გარდაიქმნება თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი.

— ამით, — განმარტავს ამ მოვლენას რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე რამაზ ხუროძე, — პრაქტიკულად რეალიზდება ტექნიკუმის ბაზაზე, როგორც უწყვეტი სწავლების კონცეფციის განუყოფელი ნაწილი, ეტაპობრივი მზადების პრინციპი. მან უნდა გადაჭრას განსაკუთრებით რთული პროფესიის კადრებით, ისეთების, რომელთაც ექნებათ ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის თვისებებისა და ექსპლოატაციის ჩვევები, შეძლებენ ჩამოაყალიბონ წარმოების პირველადი რგოლები, სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის საკითხი. ექსპერიმენტი საშუალებას იძლევა საინჟინრო განათლება უფრო მოკლე ვადაში მივიღოთ, უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მრეწველობის მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე.

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით დასახულია რიგი კონკრეტული ღონისძიებები უმაღლესი პროფესიული სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, არსებული კაბინეტებისა და ლაბორატორიების ხელახალი აღჭურვის, ექსპერიმენტში მონაწილე პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის წინაშე დასმულია საკითხი კოლეჯში სწავლის მთელ პერიოდში მოსწავლეებს გადაუვადონ სამხედრო სამსახური.

ამ დღეებში საქართველოს სახალხო განათლებისა და ვაჭრობის სამინისტროთა კოლეგიებმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება 1990-1991 სასწავლო წლიდან საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის უმაღლეს კომერციულ სასწავლებლად (კოლეჯად) გადაკეთების შესახებ. და ამ შემთხვევაშიც მხედველობაში იქნა მიღებული რეალურად არსებული მდგომარეობა, ახალი ტიპის სასწავლო ცენტრის შექმნის აუცილებლობა, რომელიც მიზანმიმართულად და ოპტიმალურ ვადებში მოამზადებს კვალიფიციურ კადრებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისათვის.

(საქინფორმი).

ეს 10 წლის ამერიკელი გოგონები რომ არა (სურათზე), ვერმონტის შტატის სოფელ ბრუკფილდს, სადაც 350 მცხოვრებია, საკუთარი გაზეთი არასოდეს ექნებოდა. ახლახან ჟურნალისტმა გოგონებმა — ამანდა ელზიმ (მარცხნივ) და ანა კელბიუმ გაზეთ „ვილიჯნიუს" (სოფლის სიახლენი) — ერთი წლისთავი აღნიშნეს.

ერთხელ ცნობისმოყვარე გოგონებმა ჩაიფიქრეს — სოფელში არის მაღაზიაც, სასტუმროც, მთავარი გზატკეცილი. რატომ არ უნდა იყოს სოფელში საკუთარი გაზეთი? მოიფიქრეს, გადაწყვიტეს, განახორციელეს. და აი ბრუკფილდში ყოველთვიურად გამოდის გაზეთი. მას გოგონები პერსონალური კომპიუტერის დახმარებით აკეთებენ და ავრცელებენ ადგილობრივ მცხოვრებლებზე, ღირებულება 5 ცენტია. გამოცემის წყარო და ჟანრია — სიახლე, ხუმრობები, ლექსები, სოფლის მოსწავლეთა ნახატები, ინტერვიუ სხვადასხვა საკითხებზე სოფლის მცხოვრებლებთან და სტუმრებთან.

ფრთოსანი მიგრანტები

კუალა-ლუმპური. მალაიზიის დედაქალაქის „ქალაქ-ბაღნარად" გადაქცევამ, რისთვისაც არც მუნიციპალიტეტი და არც ცენტრალური მთავრობა ძალას არზოგავენ, მწვავე პრობლემის წინაშე დააყენა მოსახლეობა. აქ მოზღვავდნენ „გადმოსახლებულნი", რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი დოკუმენტები, მაგრამ სამაგიეროდ აქვთ სხვა საშუალება-„მახვილი ნესტარი"—დაიცვან თავიანთი უფლება „დედაქალაქში ცხოვრებისა".

როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, ფრთოსანი მიგრანტების (ფუტკრების) მასობრივი გადასახლება გამოწვეულია ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის გამო ტყეების ფართობების შემცირებით.

ეს საინტერესოა

20 წელი წვიმის მოლოდინში

ლიმა. პერუს დედაქალაქს ხშირად „უწვიმო ქალაქს" უწოდებენ. სახელწოდება მეტად ზუსტად გამოხატავს იმ ადგილის კლიმატურ თავისებურებას, სადაც განლაგებულია ქალაქი: უკანასკნელად აქ ზამთარში ძლიერი წვიმა იყო... 1970 წლის იანვარში. თუ უახლოეს დროში აქ წვიმა არ მოვიდა, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, პერუს დედაქალაქი უსინათლოდ და სასმელი წყლის გარეშე დარჩება და „ლანდების ქალაქად" გადაიქცევა. ჩვეულებრივ წყალუხვი მდინარე რიმაკი რომელიც ლიმაზე გადის, იმდენად დაშრა, რომ საჭირო გახდა გამოერთოთ ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურის ტურბინები.

პერუელთა უმრავლესობისათვის გვალვა ტრაგედიაა, მაგრამ ზოგიერთი საქმოსანისათვის სტიქიური უბედურება, როგორც ჩანს, სასიკეთოდ შემობრუნდება ხოლმე. პირველ რიგში იმ მეწარმეებისათვის, რომელთა პროდუქციის შემადგენლობაშიც წყალი შედის. როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებოდნენ, ქვეყანაში 20 პროცენტით მოიმატა ფასებმა ლუდსა და უალკოჰოლო სასმელებზე.

ვილოცავთ

გელა ბახუს ძე ხაბულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, 50 წლის შესრულებას. ჯანმრთელობა, სიხარული ნუ მოგაკლდებოდეს!

ლეილა, ლელა, სოსო, ბახვა ხაბულიანები.

განცხადება

კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძში გაუქმდა ცნობათა ბიურო (09), რადგან ატს-ს 2000 ნომრამდე ტევადობისას შტატით არ ეკუთვნის. კვანძმა გამოუშვა საცნობარო წიგნი და იყიდება შეუზღუდავად. საჭირო შემთხვევაში ცნობებს ტელეფონის შესახებ გასცემს ატს-ის მორიგე მექანიკოსი ტელეფონით 23-05,05.

აბონენტებს ვთხოვთ შეიძინონ სატელეფონო ქსელის ცნობარი.

კავშირგაბმულობის ცაგერის რაიონული კვანძის ადმინისტრაცია

მეუღლე თამარი, შვილები როინი, ქინვერი, სულიკო, რძალი მარინე მდივანი, სიძეები ავთო ბერიძე, თემურ გოქაძე, შვილიშვილები ალეკო, თამუნა, ნინო, მალხაზი, თამილა, იმედა, ლანა, გაგა, ირაკლი, შვილთაშვილები, ცოლისძმები, ცოლისდები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ არსენის ძე სალინაძე.

დაკრძალვა 21 აპრილს, შაბათს, ქ. ცაგერში.

ვლადიმერ, კუკური, მურთაზ, სოსო ბერიძეები, გივი კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სულიკო და ავთანდილ ბერიძეებს მამისა და სიმამრის

გალაქტიონ სალინაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორის მოადგილე **მ. ძნელაძე.**

ლენა, კუკური მდივნები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ სალინაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაირა, დალი ბენდელიანებს ბაბუის

ვასილ თუთისანის

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამარ, დალი, მანანა ცვარიანებს მეულისა და მამიდის

გალინე ცვარიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი. ლენინის ქ. №58. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3½, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66589, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.